მინდობილობა

ქ. თბილისი **19 მარტი 2020 წელი**

წინამდებარე მინდობილობით **ალექსანდრე ქამუშაძე** (პ/ნ: 01030028695), როგორც **შპს „სანკო“-ს** (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, ს/კ:404997786, შემდგომში „კომპანია“) დირექტორი (შემდგომში: „მიმნდობი“), წინამდებარე მინდობილობით უფლებამოსილებას ანიჭებს **ლანა ბორჯოდაშვილს** (პ/ნ: 28101120218) (შემდგომში: „მინდობილი პირი“), რომ იმოქმედოს მიმნდობის სახელით და შეუზღუდავად განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

1. წინამდებარე მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს მიმნდობის ინტერესები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, და ქალაქ თბილისში, მარკო პოლოს ქუჩა N21-ში მდებარე მიმნდობის საკურებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ:01.72.14.043.272) დაკავშირებით, შეუზღუდავად გამოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტები, ცნობები, ხელი მოაწეროს და წარადგინოს დოკუმენტები, წერილები, აპლიკაციები, განცხადებები, მოითხოვოს ნებართვები, ლიცენზიები, თანხმობები, შეიტანოს საჩივრები, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, აღმოფხვრას ხარვეზი და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც აუცილებელია წინამდებარე მინდობილობით გათვალისწინებული დავალების შესასრულებლად.
2. ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ მინდობილმა პირმა შეიძლება გადასცეს სხვა პირებს შემდგომი გადანდობის უფლებით.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით და ძალაშია 2021 წლის 19 მარტის ჩათვლით.

ალექსანდრე ქამუშაძე

(პ/ნ: 01030028695)